ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3722357001**
თარიღი:**23/12/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 23 დეკემბერს განიხილა მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები იზრდება 5 335,2 ლარით. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი განისაზღვრა 66 706,9 ათასი ლარით. ბიუჯეტის შემოსულობების გაზრდილი მოცულობები პროპორციულადაა ასახული გადასახდელების დაგეგმილ მაჩვენებლებში.

-პროგრამის „სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია“ დაფინანსება იზრდება 2665,0 ათასი ლარით, ხოლო პროგრამის „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია“ დაფინანსება კი 1839,2 ათასი ლარით. ამ ზრდის შედეგად ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ფისკალურმა მოცულობამ შეადგინა 40750,6 ათასი ლარი;

_პროექტის თანახმად სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება იზრდება 350,0 ათასი ლარით, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება იზრდება 200,0 ათასი ლარით, ხოლო სპორტული კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის დაფინანსება კი 133,0 ათასი ლარით.

_ ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების გაზრდა 88,0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი